სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030616186709520

11 / აგვისტო / 2020 წ. **თბილისი #06-162/ო**

ბიოციდების (სადეზინფექციო, სადეზინსექციო, სადერატიზაციო საშუალებები) რეგისტრის ელექტრონული სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ”და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

2. ა)„ბიოციდების რეგისტრის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების თანდართული წესი“ (დანართი 1).
ბ) ელექტრონული სისტემის საშუალებით გასაცემი წერილების ნუსხა (დანართები N -2; 3; 4; 5.)

3. სატესტო რეჟიმის პერიოდში დოკუმენტების ელექტრონულად შევსებასთან ერთად, პარალელურ რეჟიმში, გაგრძელდეს სარეგისტრაციოდ აუცილებელი ყველა დოკუმენტის მატერიალური სახით მიღება არსებული წესით.

4. ეთხოვოთ, მეწარმე სუბიექტებს, ამ ბრძანების ამოქმედებიდან 2021 წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ ბიოციდების რეგისტრის ელექტრონულ სისტემაში, მათ მიერ აღნიშნული ელექტრონული სისტემის ამოქმედებამდე რეგისტრირებული პროდუქტების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

5. დაევალოს გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს (ნანა გაბრიაძე) უზრუნველყოს მეწარმე სუბიექტების ინფორმირება და ყოველმხრივი ხელშეწყობა რეგისტრაციის შეუფერხებლად წარმართვის და ამ ბრძანების პირველი, მესამე და მეოთხე პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

6. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ – გვერდზე – www.ncdc.ge.

7. დაევალოს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს (ა.ტურძილაძე) ტექნიკურად უზრუნველყოს სისტემის გამართული ფუნქციონირება.

8. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 15 სექტემბრიდან და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირება გაგრძელდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი

მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	პაატა იმნაძე